№ 646 სამშაბათი, 6 ოქტომბერი. 1896—1898 148 სამშაბათი, 6 ოქტომბერი № 646

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო კარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

## გაზეთი „ცნობის ფურცელი“
წლის დამლევამდე
# ღირს 2 მანათი

„ცნობის ფურცლის“
ხელის-მომწერთა საყურადღებოდ
ახლად გამოსული ისტორიული რომანი აფხაზების ცხოვრებიდან
დ. მორდოვცევისა
## ამირანის შვილნი
მთარგმნელმა, ბ-ნმა თ. სახოკიამ, შესაძლებლად დაინახა „ცნობის ფურცლის“ ხელის-მომწერთ მანეთის მაგივრად 70 კაპ. დაუთმოს. ქალაქ გარეშე მცხოვრებ ხელის-მომწერთ შეუძლიათ გამოგზავნონ ფულის მაგივრად ფოსტის მარკები რედაქციაში ბ-ნ თ. საყოკიას სახელობაზე.

ამასთანავე ვაუწყებთ პატივცემულ მკითხველთ, რომ „ამირანის შვილნი“ გასასყიდად მარტო ათი (10 წიგნაა.)



ვასწავლი ფოტოგრაფიულ ხელობას
## კურსი 15 მანათი
საწყალ მოწაფეთ უფასოდ

აგრეთვე ვიღებ სურათებს დაკლებულ ფასად; ვადიდებ პატარა სურათს დიდ სურათად, ვბეჭდავ გახსნილ წერილებზე სურათებს (открытое письмо) და სხვა ფოტოგრაფიულ ხელობას ვასრულებ სუფთად და და მალე.

ადრესი: მეორე ოვრაუსკის ქუჩა (მთაწმინდაში) სახლი № 14,
ელისბარ ჯაჯანაშვილი
(6—2)

შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**
## І. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 59)

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ




ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა“.
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს შეკვეთას და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლროს, საწუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის“ ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—40)

## ქალების საკვირაო სკოლაში
რომელიც არის მოთავსებული სომხის ბაზარში ფრანგების ეკკლესიის პირდაპირ (პროფესიანალურ სკოლაში. ასწავლიან ყველა საგნებს და აგრეთვე ჰიგიენას.

ხელსაქმე კვირაში ორჯელ არის ორშაბათს და ხუთშაბათს 4—6 საათამდინ. სწავლა კვირა დღეობით თერრმეტის ნახევრიდან იწყობა.
(6—5)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
## ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

**Докторъ медицины и хирургъ**
## БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (Ђ.)

!ყველას საყურადღებოდ!
ჩემს ახლად გახსნილ
## სამღებროში
ვღებულობ შესაღებად ჩოხებს, კაბებს, პალტოებს და სხვ.
ფასი იაფად, შესრულება სწრაფად
მუხრანიანთ ქუჩა, მუხრან-ბატონის ახალ სახლებში.
(3—2) პატივისცემით ბუხრამე

გამოვიდა და ისყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება ღირსისა
## ალექსის ღვთის კაცისა
(სურათით)
მეორედ გამოცემული
მორჩილის რ. ბარამიძის მიერ
ფასი ერთი შაური (10—2)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმოფ-

ნი: შინაგანსა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ზერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საყისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** **დრამ. საზოგადოების ახალი გამგეობა.** როგორც იქმნა ბევრი ქაპან-წყვეტის შემდეგ ძლივს-ძლივობით გუშინ-წინ კვირას, არჩეულ იქმნა დრამატიული საზოგადოების გამგეობის ოთხი ახალი წევრი: პეტრე ყიფიანი, ვისილ სულხანიშვილი, გიორგი ლასხიშვილი და ნოე ჟორდანია. ამ რიგად დრამატიული საზოგადოების გამგეობა უკვე შემდგარია და იმედია დროზე დაიწყებენ ქართულ წარმოდგენებს, რომელსაც საზოგადოება მოუთმენლად მოელის.

*** **უძველეს ქართულ სახარების დაბეჭდვისა გამო.** ჩვენს გაზეთშიცა გვქონდა მოხსენებული, რომ მისის ყოვლად უსამღვდელოესობის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს სათაოსით და ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორის ბ-ნის ალ. ხახანაშვილის რედაქტორობით მოკლე ხანში დაიბეჭდება ქართულ ოთხთავის უძველესი ვარიანტიო. ახლა გვატყობინებენ, რომ პეტერბურგში სამეცნიერო აკადემია შეუდგება სახელმწიფო ხარჯით ქართულ სახარების ამგვარისავე ძველ ვარიანტის ბეჭდვასაო. სასურველია, ორკეცი ხარჯი არ გასწიონ და, რაკი აკადემია ჰბეჭდავს ასეთ დიდ საჭირო განძს, ის ასი თუმანი, რომელიც ეპისკოპოსმა ალექსანდრემ კეთილ ინება და გადასდო სახარების დასაბეჭდად, მოხმარდეს ჩვენის საეკკლესიო სხვა სიძველის დაბეჭდვას.

*** **მასწავლებელთა უფლებანი.** კავკასიის სამოსწავლო ოლქში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მიეცეთ პირველ-დასაწყის სასწავლებლების მასწავლებელთ, რომელსაც სათანადო პედაგოგიური განათლება მიუღიათ, სამსახურის და პენსიის უფლებაო. ასეთივე უფლებანი განზრახვა აქვთ მისცენ პირველ-დასაწყის სასწავლებლების მასწავლებელ ქალთაც, რომელთაც მიუღიათ სათანადო პედაგოგიური განათლება. („ნ. ო.“)

*** **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტ. ს. კ. პ. იანოვსკი**, რომელიც წასული იყო ბაქოს გუბერნიაში სასწავლებლების სარევიზიოდ, ამ ჟამად ტფილისში დაბრუნდა, და, როგორც ისმის, განზრახვა აქვს იმავე მიზნით ამ მოკლე ხანში დაიაროს სხვა გუბერნიებიც.

*** **საბაღოსნო გამოფენა.** 4 ოქტომბერს გაიხსნა კავკასიის მეორე საბაღოსნო გამოფენა და მებაღეთა კრება.

*** **საერო დარაჯობის საქმე.** „ნ. ო.“-ს პეტერბურგიდან აუწყებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაარსებულმა კომისიამ, რომელსაც მიენდო კავკასიის საერო დარაჯობის ცვლილება, დაამთავრა თავისი მუშაობაო.

*** **გამგეობის მდივანი ქუთაისში.** ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით, ქუთაისის ქალაქის გამგეობის მდივანი ბ. კანდელაკი დანიშნულ იქმნა ქუთაისის საგუბერნიო ქალაქის საქმეების მმართველობის მდივნათ და მის ადგილას მომეტებული ნაწილი ასახელებს ქუთაისის ოლქის სამოსამართლო მდივნის თანაშემწეს, უმაღლეს სასწავლებელში სწავლადამთავრებულს, დავით ბ. მდივანს. ფრიად სასიამოვნო იქმნება რომ ქუთათურების აზრი განხორციელებულ იქმნეს, მით უფრო რომ ნაყოფიერი შედეგი ექმნება ამგვარ არჩევანს.

*** **შემაძრწუნებელი მკვლელობა.** 3 ოქტომბერს, ღამის 10 საათზე, ვერაზე, ჯვრის მახლობლად საშინელი მხეცური მკვლელობა მოხდა. მოკლულ იქმნა აზნ. დავით გაბაშვილი. აი საქმის გარემოება: მოკლი დ. გაბაშვილი და ერთი კალატოზი, რომელიც იმასთან მუშაობდა, სოფლიდან ფეხით ქალაქისკენ მოდიოდნენ, როგორც მოვიდნენ ჯვართან, უკანიდან მეეტლეს ხმა შემოესმათ, რომელიც ცხენებს დაოთხილი მოაქროლებდა: „ხაბარდაო“, დ. გაბაშვილმა უპასუხა, „გზა დიდია და გაიარეო“. ამ დროს მოქეიფე კამპანიამ შეაყენა ეტლი, გადმოხტნენ და დაუწყეს ჩხუბი გაბაშვილს, რომელსაც თავში დაჰკრეს ხანჯალი და იქვე მოკლეს. შემდეგ ოთხივენი ჩასხდნენ ეტლში, რომელშიაც ვიღაცა ქალიც ყოფილიყო, და განაგრძეს გზა. ყოველივე ეს შეენიშნა უკან მომავალ მეეტლეს, რომელსაც ეს ამბავი მაშინვე 1 ნაწილის ბოქაულისთვის გამოეცხადებინა. მოკლული მაშინვე საანატომიო თეატრში წაიღეს, ერთი ჰრილობა ჰქონდა მარცხენა ხელში და სასიკვდილოდ თავში იყო დაჭრილი. იმ ღამესვე გამოიძია ბოქაულმა და მკვლელები აღმოჩნდნენ: თ. შიხი ტუსიშვილი, თ. ვლად. ბარათაშვილი, ალექსანდრე ტერ-შმოვანოვი და აზნ. გიორგი ოსიტაშვილი, ყველა ამ გმირებს, იმ საღამოთი ვიღაც მეძავ ქალთან ერთად „ფანტაზიას“ ბაღში ექეიფნათ. თ. შიხი ტუსიშვილი იმ ღამესვე შეიპყრო ბოქაულმა, ხოლო დანარჩენები მეორე დღეს პოლიციაში თვითონვე მოვიდნენ და დაპატიმრებულ იქმნენ. ერთი ბრალდებულთაგანი გიორგი ოსიტაშვილი ხელ და ფეხში დაჭრილია, რასაკვირველია, ამხანაგებთან, რადგანაც მოკლულ გაბაშვილს ხანჯალი ქარქაში ჩაგებული ერტყა. რომელმა შეპყრობილთაგანმა მოკლა გაბაშვილი, ეს ჯერ გამორკვეული არ არის. ყველა ეს ვაჟბატონები მეტეხის საპყრობილეში დააპატიმრეს.

*** **ქურდობა.** წარსულ ენკენისთვის 30 საღამოს 9 საათზედ ვიღაც ბოროტ-მომქმედს გაუღია თავის გასაღებით საპიორნის ქუჩაზედ სახ. ბიბინასოვის №41—მცხოვრების ს. ვობახამის ოთახი და წაუღია სხვა-და-სხვა ნივთები, ღირებული 65 მან. ეს ამბავი მეორე დღესვე აცნობა 1 ნაწილის ბოქაულს მაგრამ ჯერ ვერ აღმოუჩენიათ ბოროტ-მომქმედი

*** **უწეს რიგობა ნაძალადევში** მართლაც რომ ნაძალადევია ამ უბნის ცხოვრება, რომელიც არც სოფლის ცხოვრებას წააგავს და არც ქალაქისას. ჯერ გზები ხომ არ ვარგა და არ შეუძლია კაცს ავდრიან დღეს სადმე წავიდ-წამოვიდეს ტალახში გაუსვრელად. ეს კიდევ ცოტაა. ასეთი ღრიანკელიანი და ოღრო-ჩოღრო ტალახიანი გზები განათებული არ არის. პოლიციელს აქ ათასში ერთხელ თუ ნახავთ, ისიც დღისით-თორემ ღამით არსადაა! ნაძალადევის უბანში გამვლელი ზოგიერთი თავ-გასული მოქეიფე ყმაწვილები ამის გამო ისეთ ამბებს სჩადიან, რაც არა თუ ქალაქის ადგილას, მიყრუებულ სოფელშიაც ნუ ქნას ღმერთმა. მათს თავ-გასულობას და უზნეო საქციელს საზღვარი არა აქვს. წარსულს აგვისტოში ნაძალადევის ერთი მცხოვრები ნაშუაღამევის 1-ლ საათზე მოდიოდა ცოლითურთ მიხეილის ქუჩიდან. შემოვიდნენ თუ არა ესენი ნაძალადევის უბანში, ამ დროს იქვე დუქნიდან გამოვიდა სამი ნაქეიფარი თავ-ხედი ყმაწვილი და გაუდგნენ თავიანთ გზას, მაგრამ შეხედეს თუ არა ამ ქალს და კაცს, მიატოვეს თავიანთი გზა, გამოუდგნენ ამათ უკან და დაიწყეს ყვირილი: ხან უძახოდნენ მოგვიცადეთო, ხან ემასხრებოდნენ, ხან უშვერ სიტყვებს ყვიროდნენ მათ გასაგონებლად და სდიეს უკან ნახევარი ვერსის მანძილზე, უნდოდათ რაიმე მიზეზი ეშოვნათ იმ კაცის ან ქალისაგან და შეურაცხყოფა მიეყენებინათ, ან გაეძარცვათ. მაგრამ ქალის მხლებელმა ამოიღო ბოლოს გატენილი რევოლვერი და როგორც იქნა მისი შემწეობით მოიშორა თავიდან ის ვაჟბატონები.

ურიგო არ იქნება, ყოველსავე ამას ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს და თუ სხვა სიკეთეს არაფერს გვაღირსებენ, გზები მაინც გაგვინათონ და დარაჯები დაგვიყენონ იმდენი, რომ თითოეულს ქუჩაზე თითო დარაჯი მაინც იქნეს ყოველ-ღამ.

ლუკა გუბელი

*** **ხაშური.** საქართველოს ექსარხოსის ჩამობრძანება. 3 ოქტომბერს. საღამოს მატარებლით, აქ მობრძანდა მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ფლაბიანე და 4 ოქტომბერს, დილის რვა საათიდან, დაიწყო ხაშურის (მიხეილოვის) რკინის გზის ეკკლესიის კურთხევა, რომელმაც გასტანა საათის პირველამდის. იმდენად საზეიმო და სანატრელი შეიქმნა ხალხისათვის ჯერ ეკკლესიის კურთხევა და მერმე მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის მობრძანება, რომ ხალხი არა თუ ახლო-მახლო სოფლებიდამ, არამედ შორი სოფლებიდამაც ურიცხვი მოაწყდა, მიუხედავად იმისა, რომ წვიმიანი ამინდი იყო და მასთან საშინელი ტალახები. ისე გაიმსო ეკკლესია და ეზო ხალხით, რომ სრულებით ტევა აღარ იყო.

გიგო ზანაველი

*** **ბაქო.** ქალაქის მდგომარეობა. მთელი ქალაქის მცხოვრებთა ცხოვრება, წინ-მსვლელობა და აღებ-მიცემობა მილიონერებს აქვთ ჩაბღუჯული. ყველგან ისინი არიან წარმომადგენელნი, როგორც იმათი სურვილია ისე აბრუნებენ ცხოვრების ჩარხს; მეტადრე იმათზეა დამოკიდებული მუშა-ხალხის ბედ-იღბალი. უნდათ აჭმევენ პურსა და არ უნდათ და შიმშილით ამოსწყვეტავენ. ამის მიზეზი აშკარაა, რადგანაც მთელი ფაბრიკები, ნავთის წყაროები და ნავთ-სადგუ-

149

რები სულ იმათ ხელშია, სად ასცდება მუშა ხალხი, თუ აქ არ შეაფარა თავი და აქ არ იშოვა საზრდო-საცხოვრებელი?

ყველა კუთხიდან მუშა ხალხი აქ იკრიბება და ეძებს სამუშაოს. ზოგი სპარსეთიდან გადმოდის, ზოგი იმერეთიდან და ზოგი ვინ იცის რამ სიშორე გზიდან მოდის. ფული გზაში შემოხარჯვია, სასმელსაჭმელი აღარა აქვს, ნაცნობ-ნათესავი არავინა ჰყავს და დაწანწალებს ქუჩაში მათხოვრად. რასაკვირველია, ამ რიგად გაჭირვებული კაცი ყველა ნაირ პირობებზე დაეთანხმება ფაბრიკისა და ქარხნების პატრონთ, ოღონდ კუჭი გაიძღოს. ამნაირი შემთხვევა კარგად აქვთ შესწავლილი აქაურ ქარხნებისა და ნავთის წყაროების პატრონებს და ნახევარ ფასად იკვეთავენ მუშას. ბევრჯერ განაცხადებს მუშა, ძალიან ცოტაა ეს ფასიო, მაგრამ მოურავი უპასუხებს: არ გინდა და გასწი, გაეთრიე, საჭირო არა ხარო. ძალა-უნებურად სთანხმდება მუშა და იწყებს კატორღისებურ მუშაობას. მთელი თუთხმეტი საათი თავ-პირზე ნავთი და მაზუთი ესხმება. რაღაც პატარა ტანისამოსი აცვია, იმასაც დღითი დღე ნავთი და მაზუთი უწვავს და ტანისამოსის საყიდი ფული აბა სად გააჩნია. მერე სადაც ნავთის წყაროებია, იქ არც წყალს აქვს გემო, არც სასმელსაჭმელს, რადგანაც ყველაფერი ნავთით არის გაჟღენთილი. ქარხნებში მომუშავე ხალხი რომ დაინახოთ, შეგზარავთ, ისე არიან დასვრილები შავათ კვამლსა და ჭვარტლში, მაზუთისა და ნავთის ნადუღში. ყველგან და ყველასთან მუშა ამ ცეცხლის კიდებით შოულობს ერთ ლუკმა უგემურ პურს, იმიტომ, რომ ჩამოსულა და სადღა წავიდეს. ვისთან მივიდეს? ყველგან იგივე პასუხი დახვდება და ამნაირივე სამუშაო. ახლა ყველა ამას რომ ზედ დაუმატოთ ხორაგეულობის და სასუთის საშინელი სიძვირე, მაშინ ხომ ნათლად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ბაქოს მუშა ხალხის უკიდურესი მდგომარეობა.

მილიონერი მილიონებს უმატებს, აფართოებს თავის კაპიტალს, საბრალო მუშის ოფლით და უკანასკნელნი-კი ცოცხლად დამარხულნი, მოკლებულნი არიან ყოველსავე ამა მსოფლიო ადამიანურ ცხოვრებას და პირუტყვივით უღელში შებმულნი ეწევიან ასეთს ტვირთს, რომ შიმშილით არ დაიხოცნენ. ხშირად მუშა ხალხი ცეცხლის მსხვერპლადაც ხდება, როდესაც ნავთის ქარხანას ცეცხლი უჩნდება...

ივ. კავთელი

*** **ქ. ოზურგეთი.** ოზურგეთის შემნახველ-გამსესხებელი კასსა. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, აქ არსებობს შემნახველ-გამსესხებელი კასა, რომელსაც განაგებენ გამგეობის სამი წევრი და რჩევის ექვსი წევრი. გამგეობის ერთი წევრი მამულაიშვილი უკვე გარდაიცვალა, რომელსაც დიდი შრომა მიუძღოდა ამ საქმეში. ამის გამო მოხდა, თანახმად ახალ მიღებულ წესდებისა, საზოგადო კრება იმ თვის 19-ში და არჩეულ იქმნა მესამე გამგედ კენჭით კ. შავიშვილი. ამასთან არჩეულ იქმნა ძველი რჩევის წევრების მაგივრად ახლები კენჭითვე, სახელდობ: თ. ნ. თავდგირიძე, რომელსაც არც ერთი შავი არ ამოსვლია, ვ. ს. ხუნდაძე, გ. მ. თოხაძე, წუწუნავა, ივლ. სულუხია და ექვთიმე შარაშენიძე. საზოგადო კრებამ დაავალა რჩევის და გამგეობის წევრებს ერთად ახალი წესდების ზოგიერთ მუხლების სისრულეში მოყვანა.

მოკვეთე

*** **დ. ჩურუქსუ** (აჭარა). უცნაური მკვლელობა. თითქმის ერთი წელიწადია, რაც დაბა ჩურუქსუში ავ-კაცობა დაწყნარებული იყო ყოველი მხრით, ხოლო ამ ბოლო დროს ხელ-ახლათ იჩინა თავი ავკაცობამ. სექტემბრის 30, ღამით, 8—9 საათზე მოჰკლეს თავის ქოხში მჯდარი ღარიბი კაცი ხუსეინ კაიანდიშვილი; მკვლელი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. გამოძიება სწარმოებს. ოქტომბრის 1-ლს, დღით, სოფელ აჭყვის თავში, თოფი ესროლეს იქაურს მცხოვრებს ესედ ონანიძეს, რომელიც მძიმედ არის დაჭრილი, ბოროტ-მომქმედი ვერ ნახეს; დიდ ფაცა-ფუცშია აქაური პოლიცია რომ აღმოაჩინოს დამნაშავენი.

— უამინდობა. თითქმის 15 დღეა, რაც დაბა ჩურუქსუში კოკისპირული წვიმა და სასტიკი ქარია, ასე რომ გარედ არ შეუძლია ადამიანს გამოვიდეს; სიმინდის და ყურძნის მოსავალს ხომ მოუღო ბოლო, სულ ერთიანად არის დაგებული მიწაზე. აქაური მოხუცები ამბობენ: თუთხმეტი წელია, რაც აქეთ ასეთი ცუდი ამინდები არ ყოფილაო.

ციხის უბნელი

*** **დ. ხონი.** ეკკლესიის გალავნის დაუმთავრებლობა. აგერ ათი წელიწადი გადის თითქმის მას შემდეგ, რაც დ. ხონის მთავარ ანგელოზის ეკლესიის ეზოზე გალავნის შემორტყმა განიზრახეს ადგილობრივ მცხოვრებლებმა და კიდეც შეუდგნენ განზრახვის სისრულეში მოყვანას. მას შემდეგ ამდენი ხანი გადის და ეკკლესიის გალავინი ჯერაც ვერ დაუმთავრებიათ. ეკლესიის ეზო სიდიდით არ აღემატება ორ ქცევას და აქვს ოთხ-კუთხი მდებარეობა. მას ცალის მხრით საზღვრავს ბ. ნიკო წივწივაძის მამული და რადგანაც მას თავისი მამული შეკავებული აქვს, ამის გამო იმ მხარეზედ ეკკლესიის ეზო შეკავებულია, ასე რომ მხოლოდ დანარჩენი სამი მხარე არის განაწილებული ადგილობრივ მცხოვრებლებზე, საიდანაც თითო კომლს ძლივ-ძლივობით 4—5 არშინი შეხვდებათ გასაკეთებლად.

ადგილობრივი მღვდელი მ. ბ. კაკაბოძე და მნათე იაკობ წივწივაძე ძალიან მონდომებულნი იყვნენ ამ ეკკლესიის ეზოს შეკეთებაზე, მაგრამ იმათი მეცადინეობა ამაოდ დარჩა, რადგან ზოგიერთ პირებს ვერა შეაგონეს რა. ეხლა კი ვგონებ უნდა ეშველოს რამე, რადგან, როგორც ისმის, მღ. მამა კაკაბოძეს, ამ ეკკლესიის გალავნის გაკეთება გადაუცია ადგილობრივ ბოქაულის ბ-ნ პორფ. ვაშალომიძისათვის, რომლისთვის იმ პირთა სიაც ჩაუბარებია, რომელთაც თავიანთი ხვედრი არ ჰქონდათ გაკეთებული. ეხლა სრული იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ბოქაული ამ საქმეს დააბოლოვებს, რადგანაც ის ფრიად მხნე და გულ-წრფელი მოღვაწეა.

— სამრევლო სკოლის დაარსება. ამავე ეკკლესიასთან, ადგილობრივ მღვდლის მ. ბესარიონ კაკაბოძის მეცადინეობით დაარსებულ იქმნა წელს სამრევლო სკოლა. დიდი მადლობის ღირსია მ. ბესარიონი, რადგან ყოველ ღონეს ხმარობს თავის დაცემულ მოძმის აღსადგენად. მოგეხსენებათ, რომ ჩვენში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სამრევლო სკოლას, რადგან მასში პირველი ადგილი დედა-ენას უჭირავს და ბავშვი პირველ დაწყებით სწავლას დედა-ენაზე ღებულობს. ეხლა ყველამ შეიგნო სამრევლო სკოლის მნიშვნელობა და ამიტომ ძალიანაც ვრცელდება, ასე რომ ძვირად რჩება ისე ეკკლესია, რომ მასთან სამრევლო სკოლა არ არსდებოდეს და ეს კი ჩვენთვის ფრიად სანუგეშოა.

— გზის უვარგისობა. ზემოხსენებულ ეკკლესიაში მისავალი გზაც არ გვივარგა. თუმცა უგზოობით ძლიერ გაჭირვებულნი ვართ, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს. თუმცა ზოგი მცხოვრებთაგანი კი ზრუნავენ ამ გზის გაკეთებისთვის, მაგრამ მარტო ესენი რას გააწყობენ! ასე და ამ გვარად გზა თავისით არ გაკეთდება და ამ დალოცვილებს მუშაობა კი ეზარებათ. წვიმიან კვირა-უქმე დღეებში ვერ მიდიან ეკკლესიაში, რადგან გზაზე საშინელი ტლაპო დგება. განსაკუთრებით შესაბრალისნი არიან მანდილოსნები, რომლებსაც სწყურიათ ეკკლესიაში წირვა-ლოცვის მოსმენა, მაგრამ გზების უვარგისობის გამო ეზოს გადაღმა ვერ გადასულან. სასურველია, ამ გარემოებასაც მიაქციოს ყურადღება ბოქაულმა ბ. პ. ვაშალომიძემ და შესაფერი განკარგულება მოახდინოს, რომ ამ გზასაც ეშველოს რამე და მით ააცდინოს ხალხს ამოდენი გაჭირვება უგზოობის გამო.

გიორგი ფარნ—ძე

*** **დ. აბაშა.** მდინარეები საშინლად ადიდდნენ წვიმებისა გამო, ორპირში ცხენის წყლის დიდი ხიდი წყალს წაუღია. ეს ხიდი ამ ცოტა ხანში ააშენეს და ხაზინას სამი ათას მანეთზე მეტი დაუჯდა. ადიდებულმა ცხენის წყალმა შეუბრალებლად შთანთქა ხიდი და ეხლა ადვილად წარმოსადგენია, მცხოვრებთა გაჭირვება და სასოწარკვეთილობა.

## თეატრის მატიანე

—

**დ. ყვირილა.** ქართული წარმოდგენა. ხუთშაბათს, ერთ ოქტომბერს, დ. ყვირილას ეწვია ჩვენი საყვარელი არტისტი ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი და გამართა ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა დრამა „ცხოვრების გმირი“ და ვოდევილი „გულ-მავიწყნი“ რა თქმა უნდა, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა; საუცხოვო იყო ბ-ნი მესხიშვილი პეტრეს როლში. აგრეთვე კარგი იყო ქ. გვეტაძე ზინაიდას როლში, არა უჭირდათ რა თავ-თავიანთ როლებში ბბ. ბაქრაძეს და მდივანს. ეს უკანასკნელი მეორედ გამოდის სცენაზე და როლს არ აფუჭებს. ვოდევილში ბევრი აცინეს დამსწრე საზოგადოება ბბ. ნემოშ და ბადანჩივაძემ.

ამ სიამოვნების სამაგიეროდ იმითი გადაუხადა დაბა ყვირილის გრძნობა დახავსებულმა საზოგადოებამ, (ვაჭრებზე მოგახსენებთ), რომ შემოსავალი არ იყო კარგი. გარდა იმისა, რომ თვითონ არ დასწრებიან წარმოდგენებს, ნოქრებისთვისაც აუკრძალავთ თეატრში სიარული.

წარმოდგენის შემდეგ მესხიშვილის პატივსაცემლად აქაურებმა გაუმართეს ვახშამი, რომელმაც მხიარულად ჩაიარა. მოკლე სიტყვით და კარგი ლექსით მიმართა ბ-ნმა ლ. იაშვილმა ბ. მესხიშვილს.

ბ-ნმა მესხიშვილმა მადლობასთან გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც გამოხატა თავისი დაუძლურება და დაგვაიმედა: „იმედი მაქვს მაგიერი მესხიშვილები ჩემს შემდეგ მრავალნი გამოჩნდებიანო“ და სხვ.

# სამეცნიერო ცნობა

—

ქართული ტერმინების გამო. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე-626 №-ში დაბეჭდილია შენიშვნა ბ. მ. ზაალაშვილის მიერ „მოკლე ბოტანიკაში“ ხმარებულ ტერმინების მიღებაზე ჩვენს მწერლობაში, ანუ სრულიად უარყოფაზე, თვით ავტორის სურვილითაც.

მე ჩემის აზრით ამას ვიტყვი, რომ ასე უცბათ, ბ. ზაალაშვილის მიერ ხმარებულ ტერმინებისა არც მიღება იქნება და არც უარყოფა. აი ამის მიზეზი: პირველი თითქმის ყოველივე ხმარებული ტერმინი სიტყვა-სიტყვით არის ნათარგმნი რუსულიდან. რომელიც მარტო, ქართულის მცოდნის ყურს მისი გაგონება ეჩოთირება, და მეორე: ყოველივე ნათარგმნი ანუ ახლათ შეთხზული სიტყვა უნდა ექვემდებარებოდეს ქართული ენის ხასიათსა, და მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მდაბიო სოფლელ ხალხის სიტყვიერებასთან, თორემ ჩვენგან შეთხზული ანუ ნათარგმნი სიტყვებით მათ ვერას გავაგონებთ, და გაშტერებულს გავხდით. ამის გამო, როდესაც ჩვენ სოფლებს დაშორებულვართ და მდაბიო ხალხთან ხშირათ აღარ გვაქვს შემთხვევა ლაპარაკისა; ნელა-ნელა მრავალი სიტყვები გვავიწყდება, ვეღარ მოგვიგონია; ასე ვთვლით ვითომ არ არიან ჩვენს ენაში ბუნებითი სიტყვები და დავუწყებთ ხოლმე თხზვას ან თარგმნას; ეს ნათარგმნი სიტყვები შემოგვეპარება ენაში, ნელა-ნელა ყურიც შეეჩვევა და შემოგვეთვისება; ბოლოს კი გამოვა იმისთანა ქრისტიანი, იტყვის . ნათარგმნი სიტყვის მაგიერ ნამდვილ ბუნებითს და ასტყდება ერთი კამათი, როგორც მაგ. მოხდა სიტყვა—„ვოდოპად—წყალ-ვარდნილზე“. ამ კამათის ასაცილებლად უნდა მივმართოთ რაიმე სიტყვის სასწავლებლათ იმ ხალხს, რომელმაც ქართული სახელების მეტი არა იცის-რა, მაგ. ყვავილისა და ბალახის ნაწილების სახელები უნდა ვკითხოთ ჩვენ შინაურ ექიმებს, მათ ყოველივე ყვავილის და მცენარის ნაწილის სახელი იციან, რადგანაც სხვა და სხვა წამლებისთვის სხვა და სხვა მცენარის ნაწილები სჭირდებათ. ისინიც რომ არ იყვნენ, თვით სოფლელი ხალხიც იტყვის სახელს ლაპარაკის დროს, ისე რომ ჰკითხოთ, იქნება ვერცკი მოიგონოს. საჭიროა ჩამოუგდო ლაპარაკი და ისე აახსენვინო ყოველივე. მესამე: უმჯობესია, რახან თარგმანმანზე მივარდება საქმე. ითარგმნოს ქართულათ იმ ენაზე დაწერილი წიგნებიდან საიდანაც თვით რუსულია ნათარგმნი, მაშინ შესაძლებელია უფრო მიმგვანებულ ქართულ სახელი დავარქვათ.

ამ ჟამად მოგახსენებთ ზოგიერთ ქართულს ტერმინებს, როგორც უწოდებენ ქართულად, მაგ.: „ცნ. ფურ“-ის მე-627 №-შია ხმარებული—იმ ნაწილს ყვავილისას, რომლითაც ყვავილი ღეროზეა მიბმული უწოდებენ ყვავილფეხას (цвѣтоножка)… ამას ასე მივუმატებ: და რომელსაც შემდეგ ნაყოფი შერჩება ქართულად ჰქვიან კუნწი. იქვე… ყვავილფეხა ბოლოში მსხვილდება; ამ გამსხვილებულ ნაწილზე ყვავილი ზის, ამ ნაწილს ვუწოდებთ ყვავილის საჯდომს (цвѣтоложе) ჩვენში კი ქართველები უძახიან—კუნწისთავს. იქვე ხმარებულს ფოთლუკებს, ჩვენში უწოდებენ კილოებსა და ყვავილის ფურცლებს—ბიბილოებსა. ფურცლები ერთათ შეადგენენ გვირგვინს. ჩვენში კი ხშირად ამბობენ ხოლმე ზიზილას, მამათ ორგანოებს ჩვენში ეძახიან სამტვეროს და ღეროკას ერთათ—ციმციმას; …დედათ ორგანოს უწოდებენ სანაყოფოს (завязь) ჩვენში ჰქვიან ნასკვი. მე-628 №-ში ცვრიან ნაყოფს ჩვენში წყლიანს უწოდებენ. 5) კაკალი—ამ ნაყოფს შიგ მხოლოდ ერთი თესლია (გული), ჩვენში—ნუბადა. მე-629 №-ში ხმარებული ტერმინი—კალთა (корзина) მზესუმზირას ყვავილწყობა უფრო ცხრილსა ჰგავს, და უმჯობესია ცხრილი ერქვას. «Крона»-ს ცალკე სახელი არავინ ახსნა, თუმცა ჩვენებური ხალხი ტყეში და ბაღებში სცხოვრობენ, „მაგას ტოტები ჰქვიან და სხვა არაფერიო“. თუ დავარქმევთ რასმეს, მაშინ მიმგზავსებული რამ უნდა დავარქვათ, მაგ. «крона» ჰგავს გუმბათს ანუ კოკოზას და თუ სახელი არსაიდან მოიძებნა, ერთ-ერთი დაერქვას. შეიძლება ვსთქვათ რომ ერთი და იგივე სახელი რომ დავარქვათ, მერე როგორ გავიგოთ რომელს ვუწოდებთ ამ სახელსო. მაგ. „цвѣтоножка“-ს კუნწი ჰქვიან და «черешокъ»-საცა, ეგ არაფერი. ჩვენი ენის ხასიათია ერთი და იგივე სახელით რამდენიმე საგანი იწოდება, მაგ. თვალი, ამ აპითი იწოდება თვალი კაცისა, ურმისა, ძვირფასი ქვა და სხვა, აგრეთვე კვალი, კვალი—ნაფეხური, ბოსტნისა, საწყლე კვალი და სხვ. მაინცა და მაინც ეს მოკლე ბოტანიკა დიდ სასარგებლო შედეგს მოგვიტანს და ვისურვებ სამეცნიერო წერილების მუშაკების გამარჯვებას.

სამაჩაბლოელი

## ყურმოკრული საუბარი

—

სასამართლოში ერთ მოხელეს ეკითხება მომჩივარი:

— რა მდგომარეობაშია ჩემი საქმე?

— თქვენი საქმე საქმეშია ჩაკერებული.

—

წრეულს თქვენი მამულები გაიმიჯნება და თვითეულს მონაწილეს თავ-თავის წილი ჩაბარდებათ.

— ნეტა არ იქნება, ჩქარა, დავიდარაბები გაგვიადვილდება და კარგია!..

—

მამა-ჯან, ერთი შავი მაჩუქე, პაპიროსი უნდა ვიყიდო და მოვწიო. ერთი კარგად ავაბოლო!

— თუ ბოლი გინდა, აი ბუხარში შეჰყე თავი და ისუნთქე!

## ამორჩეული აზრები

—

სხვა თავის დღეში ისე ვერ გვცემს პატივს, როგორც ჩვენს თავს თვითონ ჩვენ. (სენეკა).

—

პატივისცემა—სავალდებულოა, რომელსაც თვით უნამუსონიც კი უხდიან ქველ-მოქმედთ. (მადამ პამპადური).

—

თავისი თავის უპატივცემლობა ისეთივე უპატიოსნებაა, როგორათაც მეტის-მეტი თვით-თაყვანის მცემლობა. (მონტენი).

—

მატყუარებს, უნამუსოთ და სულელებს ერთმანერთი სძულთ, თუ ყველა ერთნაირის სენით არიან ავად. (ბუატი).

—

სულ ერთია ავადმყოფს ოქროს ტახტზე დააწვენ, თუ უბრალო ფიცრებზედ. რომელ სარეცელშიაც ჩააწვენ, თავისი სნეულება თან ჩაჰყვება. ამიტომაც სულ ერთია, მდიდრულად იცხოვრებს, თუ ღატაკურად. ის, ვინც სულით ავადმყოფია, მისი სენი ყოველ შემთხვევაში მასთანვე იქნება.

# გამოსადეგი ცნობა

—

თამბაქოს გავლენა ადამიანზე. ხალხს ისე აქვს წარმოდგენილი, რომ თამბაქოს ხმარება ფილტვებს აზიანებსო, მაგრამ, როგორც უკანასკნელმა გამოკვლევამ დაგვარწმუნა, გაცილებით მავნებელი ყოფილა გულისა და ნერვებისთვის. ხშირათ შეგხვედრიათ თქვენც და ექიმებსაც დიდ-დიდით თამბაქოს მწევარს ადამიანს, გულის ფრიალი, თავბრუსხვევა და ზოგს გულიც მოსდით ხოლმე. მეტი ნაწილი თამბაქოს გავლენით არის, რადგან როდესაც თამბაქოს წევას თავს ანებებენ, მალა სრულიად ეკარგებათ. თამბაქოს წევა საშინლად ადუნებს მთელი სხეულის ნერვებს და განსაკუთრებით თვალისას, ისე, რომ ხშირად ადამიანს მხედველობას და მეხსიერებას უკარგავს.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

ნიუიორკის სიმდიდრე. მთელს ხმელეთზე საუკეთესოზედ დიდი ქალაქი შეერთებულის შტატების სატახტო ქალაქი ნიუორკია. მცხოვრებთა სიმდიდრე გამოიხატება უდიდეს კაპიტალებით. ამ კაპიტალის ჯამს შეადგენს 33 მილიარდი და 800 მილიონი ფრანკი, გარდა ამისა ნივთები ქონება კიდევ სხვა არის. ზე აღნიშნული ფულის ჯამი რომ თვითეულად გაუნაწილოთ ნიუორკის მკვიდრთ 28.000 ფრანკი შეხვდება. (ნიუორკში 1,800,000 მცხოვრებია) წელიწადში აქაური ვექილები თავიანთ გასამრჯელოს იღებენ ასს მილიონამდე, მკურნალები 60 მილიონს, დანტისტები (კბილის ექიმი) 8 მილ. ყვავილები გაიყიდება 15 მილ. და 100 მილიონამდის ბრილიანტს იყიდიან. ნიუორკში 2025 დიდი და პატარა გემებია, რომლების შენახვა და ხარჯი 100 მილიონზე მეტი უჯდებათ. 15 დიდრონი კლუბებია, რომელთა საწევრო ფული 15 მილიონამდე დგება. იქვე იმართება სიდილები და მეჯლიშები, თვითეულს წევრს ამ ნაირს გასართობს საგანზედ წელიწადში 5,400 ფრანკი ეხარჯება.


## ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. „**УРБЭНЪ**“

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—44)